ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

24/10/2019

1291-25-4-201910241223

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1291

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 39-ე, მე-40 და 41-ე მუხლებისა და 126[1]-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, ასევე „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

№	საკონკურსო თანამდებობა	ვაკანსიის რაოდენობა
1	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1
2	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1
3	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3
4	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი	1

	სპეციალისტი	
5	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი	1
6	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
7	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილების უფროსი	1
8	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1
	სულ ვაკანტური პოზიცია	11

2. გამოცხადდეს დახურული კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

№	**საკონკურსო თანამდებობა**	**ვაკანსიის რაოდენობა**
1	შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების მონიტორინგის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
	სულ ვაკანტური პოზიცია	1

3. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, კონკურსის გამოცხადება და ჩატარება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი